ხელშეკრულება №23
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი 26 იანვარი 2021 წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ს/კ 404945164) (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლაშა კილაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „აუტოტესტ გეორგია“ (ს/კ 405041119) (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა იორდანიშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და **„ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილების საფუძველზე,** ვდებთ წინამდებარე ხელშკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

1.2. „ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტოპ საშუალებების (დანართი 1 -ით განსაზღვრული ჩამონათვალი) პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების შესყიდვა (CPV7163000- მომსახურებები ტექნიკური შემოწმებისა და ტესტირების სფეროში).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 660,00 (ექვსას სამოცი) ლარს.

3.2 მომსახურების ერთეულის ღირებულებაა -60 ლარი.

3,3. ხელშკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევისთვის საჭირო ყველა ხარჯს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

4. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

4.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ცენტრის ბალანსზე რიცხული 11 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური შემოწმება დანართი N1 -ით განსაზღვრული მონაცემების შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

5.2 მიმწოდებელი სრულად იღებს პასუხისმგებლობას გაწეული მომსახურების შესაბამისობაზე ამ სფეროში არსებულ სტანდარტთან.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები.

6.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება ეტაპობრივად, დანართი N1-ით განსაზღვრული პერიოდებისა და შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველ ეტაპზე, მანქანის მიყვანიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა, მომსახურების საბოლოო ვადაა არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა.

6.2 ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს აღნიშნულ სფეროში არსებული სტანდარტების შესაბამისად.

6,3. მომსახურების გაწევის ადგილია -თბილისსა და საქართველოს რეგიონებში განთავსებული მიმწოდებლის სერვის ცენტრები გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შესაბამისად.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება ეტაპობრივად, სახელმწიფო რეგულაციებით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, რომელიც ასახულია ხელშეკრულების დანართში.

7.2. თითოეულ ეტაპზე გაწეული მომსახურება დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტით, რომელზეც ხელს აწერს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი - მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სამეურნეო განყოფილების უფროსი ზურაბ გოგილიძე ან შესაბამისი რეგიონის განყოფილების უფროსი.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამის თანხაზე მხარეთა შორის გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურის გაგზავნიდან (არსებობის შემთხვევაში) არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

8.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

9. პირგასამტეხლო

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა.

9.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,02%–ს.

9.3. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების სრულად არაჯეროვანი შესრულებისთვის მიმწოდებელი იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

9.4 ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ნაწილობრივ არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით. არაჯეროვან შესრულებაში სხვა გარემოებების გარდა მოიაზრება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის მიუღებელი ხარისხის საქონლის მიწოდება.

9.5. 9.4 და/ან 9.5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევის დადგომისას, ასევე იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

9.6. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9.7. მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში, ასევე შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს საჯარიმო თანხის ჩამოჭრა ასანაზღაურებელი თანხიდან.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

10.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

10.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

10.2.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ „საქონელი“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას.

10.2.2. დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

10.3. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

10.3.1. მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ ხელშეკრულების ყველა პუნქტის შესრულება.

10.3.2. უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.

10.3.3. არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

10.3.4. არ მიიღოს უხარისხო საქონელი და/ან არ აანაზღაუროს მისი ღირებულება;

10.3.5. უხარისხო საქონლის რამოდენიმეჯერ მიწოდების შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშკრულება.

10.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

10.4.1. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მიერ მიწოდებული „საქონლის“ ღირებულების სრული ანაზღაურება.

10.4.2. განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „საქონლის“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

10.4.3. აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

10.4.4. მიმართოს სასამართლოს ან სხვა შესაბამის ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

11.2. ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

11.3. ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.
11.4. ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობითი შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა თუ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოწვეულია 10.3.5 პირობის დადგომის გამო.
11.5. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
11.5.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „საქონელი":
11.5.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „საქონლის" მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.
11.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.
11.7. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:
11.7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;
11.7.2. თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.7.3. „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.
11.8. საჯარიმო სანქციები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დაუძლეველი ძალის მოქმედება

12.1. ხელშეკრუ;ლების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით, რომელსაც ცნობენ მხარეები.
12.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისგან.
12.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.
13.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავას გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დადგება.

17. ხელშეკრულების სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
17.2. „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.
17.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.
17.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.
18.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
18.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
18.4. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ–კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

19. განსაკუთრებული შენიშვნები

19.1. ხელშეკრულება დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.
19.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებაზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების თარიღიდან.

20. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
შ.პ.ს."ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

რეკვიზიტები:
ს/კ **404945164**;
„თიბისი ბანკი" ც/ფ, ბ/კ **TBCBGE22;**
ა/ა **GE75TB7810436020100002;**
მის: ქ. თბილისი, ქავთარაძის ჩიხი N2;

გენერალური დირექტორი:
ლ. კილაძე

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2021.01.26 13:38:34 +04'00'

„მიმწოდებელი"
შპს „აუტოტესტ გეორგია"

რეკვიზიტები:
ს/კ **405041119**

ბანკი - სს „თიბისი ს ბანკი"
ბ/კ **TBCBGE22;**
ა/ა **GE51TB 768383 608 01 00003**
მის: ქ. თბილისი. სოფ.დიღომი, 13 ასურელი მამის ქ. #128

დირექტორი:
ვ.ოირდანიშვილი

LTD Autotest Georgia
Digitally signed by LTD Autotest Georgia
Date: 2021.01.26 13:57:02 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" გენერალური დირექტორი ლაშა კილაძე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაზე (№23; 26,01,2021წ.) ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესეთა კონფლიქტს.

ასევე ამავე მუხლის შესაბამისად, ი. ყარაულაშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი) ზ. გოგილიძე (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სამეურნეო განყოფილების უფროსი) ხელმოწერით ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (№23; 26,01,2021წ.) მიმწოდებელთან („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, პირველი პუნქტის „გ" და „ე" ქვეპუნქტები) შპს „აუტოტესტ გეორგია"-სთან.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის გენერალური დირექტორი: ---------- /ლ. კილაძე/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი:
_____ /ი.ყარაულაშვილი/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სამეურნეო განყოფილების უფროსი:

_____ /ზ. გოგილიძე/

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2021.01.26 13:38:57 +04'00'

დანართი N1

№	მარკა, მოდელი	სამგზავრო/სატვირთო	ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი	ავტოსატრანსპორტო საშუალების ძრავის მუშა მოცულობა(სმ3)	დასასხდომი ადგილების რაოდენობა (სამგზავროს შემთხვევაში, მძღოლ	ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოშვების თარიღი (წელი)	ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი/სახელმწიფო)	ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების საბოლოო ვადა
1	HONDA CRV /2,4	სამგზავრო	CE-107-EC	2400	5	14.12.2012წ	2003	შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"	08.07.2021
2	HONDA CRV	სამგზავრო	FY-713-YF	2000	5	30.07.2012წ	1997	შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"	14.07.2021
3	HONDA CRV	სამგზავრო	FF415VV	2000	5	30.07.2012წ	1997	შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"	22.06.2021
4	OPEL ASTRA	სამგზავრო	HH-378-PP	1600	5	30.07.2012წ	1998	შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"	10.07.2021

5	FORD TRANZIT	სამგზავრო	BB-108-BK	2400	7	12.08.2013წ	2007	შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"	18.06.2021
6	MERSEDES C KLASS	სამგზავრო	FY-885-YF	2200	5	30.07.2012წ	1998	შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"	26,06,2021
7	HYUNDAI GETZ	სამგზავრო	AG135GA	1400	5	16.10.2014წ	2009	შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"	26.10.2021
8	HYUNDAI GETZ	სამგზავრო	VV-899-RR	1400	5	22.04.2012წ	2009	შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"	09.06.2021
9	HYUNDAI GETZ	სამგზავრო	DD-016-QD	1400	5	22.04.2012წ	2009	შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"	08.06.2021
10	HYUNDAI i10	სამგზავრო	ZZ132ZZ	1200	5	29.12.2014წ	2011	შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"	22.12.2021
11	VOLKSWA PASAT	სამგზავრო	SS-470-NS	1800	5	30.07.2012წ	1999	შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" (ქუთაისი)	17.07.2021

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2021.01.26 13:39:28 +04'00'

გენერალური დირექტორი:

ლაშა კილაძე

დირექტორი:

ვაჟა იორდანიშვილი